

პრეპარატის გამოყენების ინსტრუქცია

ნიფუროქსაზიდი (NIFUROXAZID)



სამკურნალო საშუალების შემადგენლობა:

აქტიური ნივთიერება: ნიფუროქსაზიდი;

1 ტაბლეტი შეიცავს 0,1გ (ნიფუროქსაზიდს 100% ნივთიერებაზე გადაანგარიშებით);

დამხმარე ნივთიერებები: კარტოფილის სახამებელი, ჰოვიდონი, სილიციუმის დიოქსიდი, ტალკი, მაგნიუმის სტეარატი, ჰიპრომელოზა, ტიტანის დიოქსიდი (E171), პოლიეთილენგლიკოლი (მაკროგოლი), ქინოლინის ყვითელი (E104).

წამლის ფორმა: გარსით დაფარული ტაბლეტები.

მრგვალი ფორმის, ორმხრივამობურცული ზედაპირით, ყვითელი ფერის გარსით დაფარული ტაბლეტები.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიდიარეული პრეპარატი; ნაწლავების ინფექციურ-ანთებითი დაავადებების დროს გამოსაყენებელი პრეპარატები. ნიფუროქსაზიდი.

ATC A07A X03

ნიფუროქსაზიდი არის 5-ნიტროფურანის წარმოებული, ნაწლავური ანტისეპტიკების ჯგუფიდან. მოქმედებს რა ადგილობრივად ნაწლავის სანათურში, აფერხებს ნაწლავური ფლორის პათოგენური ორგანიზმების გამრავლებას. პრეპარატის მოქმედების მექანიზმი მდგომარეობს დეჰიდროგენაზას აქტივობის დათრგუნვასა და პათოგენურ ბაქტერიებში ცილის სინთეზის პროცესის დარღვევაში.

ნიფუროქსაზიდი აქტიურია გრამდადებითი და გრამუარყოფითი მიკროორგანიზმების მიმართ: *Streptococcus faecalis*, *Staphylococcus aureus*, *Escherichia coli*, *Salmonella spp.*, *Shigella spp.*, *Enterobacter spp.*, в том числе *E.cloacae*, *Citrobacter spp.*, *Hafnia spp.*, *Yersinia enterocolitica*, *Campylobacter jejuni*, *Proteus spp.*, *Vibrio cholere* და სხვა. საშუალო თერაპიულ დოზებში გააჩნია ბაქტერიოსტატიკური მოქმედება, ხოლო უფრო მაღალ დოზებში - მოქმედებს ბაქტერიციდულად. არ ცვლის ნაწლავის ნორმალური ფლორის წონასწორობას. პრეპარატის ეფექტურობა ნაწლავის pH -ზე დამოკიდებული არაა. პრეპარატის მიღებისას სპეციალური დიეტის დაცვა საჭირო არ არის.

შიგნით მიღების შემდეგ პრეპარატი კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან არ შეიწოვება და შესაბამისად, ქმნის მოქმედი ნივთიერების მაღალ კონცენტრაციას ნაწლავში. პრაქტიკულად არ იწვევს სისტემურ გვერდით მოვლენებს. ორგანიზმიდან გამოიყოფა ფეკალურ მასებთან ერთად.

ჩვენება: მწვავე ნაწლავური ინფექციები, ქრონიკული კოლიტი, ინფექციური ეტიოლოგიის ენტეროკოლიტი. ნაწლავის დისბიოზის კომპლექსური მკურნალობა.

უკუჩვენება: პრეპარატში შემავალი კომპონენტების მიმართ მომატებული მგრძნობელობა, მათ შორის 5-ნიტროფურანის მიმართ. 3 წლამდე ბავშვთა ასაკი.

გამოყენების დროს უსაფრთხოების სათანადო ზომები. მწვავე დიარეის მკურნალობის დროს საჭიროა ჩატარდეს რეჰიდრატაციული თერაპია (პერორალური ან პარენტერალური, პაციენტის მდგომარეობიდან გამომდინარე). სეფსისით გამწვავებული დიარეის მკურნალობისას არ შემოიფარგლოთ მხოლოდ ნიფუროქსაზიდით, ვინაიდან პრეპარატი არ შეიწოვება ნაწლავიდან და შესაბამისად არ აღწევს სისხლში. ნიფუროქსაზიდით მკურნალობისას უკუნაჩვენებია ალკოჰოლის მიღება.

განსაკუთრებული სიფრთხილე

გამოყენება ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში. არ არსებობს მონაცემები პრეპარატის ნაყოფზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ. ამიტომ, საჭიროა თავი ავარიდოთ მის გამოყენებას ორსულობის დროს. ნიფუროქსაზიდი არ აბსორბირდება კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან, უცნობია, ექსკრეტირდება თუ არა იგი დედის რძეში, ამიტომ, ლაქტაციის პერიოდში მიღება ვრცელდება თანაფარდობაზე სარგებელი დედისათვის/რისკი ბავშვისთვის.

გავლენა ტრანსპორტსა და მექანიზმებთან მუშაობის უნარზე: გავლენას არ ახდენს.

ბავშვები: წამლის ეს ფორმა არ გამოიყენება 3 წლამდე ასაკის ბავშვებში.

მიღების წესი და დოზირების რეჟიმი: მიიღება შიგნით საკვებისაგან დამოუკიდებლად.

მოზრდილები და ბავშვები 7 წლის ასაკის ზემოთ - 200მგ (2 ტაბლეტი) ყოველ 6 საათში ერთხელ (4-ჯერ დღეში); 3-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვები - 100მგ 4-ჯერ დღეში. 7 წლამდე ასაკის ბავშვებში რეკომენდებულია პრეპარატის სუსპენზიის ფორმით დანიშვნა.

მკურნალობის კურსი შეადგენს 5-7 დღეს. მკურნალობის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 7 დღეს.

ჭარბი დოზირება: აღწერილი არ არის. თერაპიული დოზის გადაჭარბების შემთხვევაში საჭიროა კუჭის ამორეცხვა, აქტივირებული ნახშირის მიღება. მკურნალობა სიმპტომურია.

გვერდითი მოვლენები: იშვიათად - ალერგიული რეაქციები (გამონაყარი კანზე), ტკივილი მუცლის არეში, გულისრევა, დიარეის გაძლიერება.

ურთიერთქმედება სხვა სამკურნალო საშუალებებთან და სხვა სახის ურთიერთქმედება: არ შეიძლება ნიფუროქსაზიდის ერთდროული მიღება სორბენტებთან და პრეპარატებთან, რომლებიც შეიცავს სპირტს.

ალკოჰოლის ერთდროული მიღებისას, შესაძლებელია განვითარდეს დისულფირამის მსგავსი რეაქცია (კანის ჰიპერემია, სიცხის შეგრძნება, შუილი ყურებში, გამწვანებული სუნთქვა, ტაქიკარდია, შიშის შეგრძნება).

ვარგისობის ვადა: 2 წელი

შენახვის პირობები: ინახება ორიგინალ შეფუთვაში არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე.

ინახება ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილზე !

შეფუთვა: 0,1 გ გარსით დაფარული ტაბლეტები, № 10, № 30 (10×3) ბლისტერებზე.

გაცემის წესი:

ფარმაცევტული პროდუქტის ჯგუფი III ჯგუფი, გაცემა რეცეპტის გარეშე

მწარმოებლის დასახელება და ადგილმდებარეობა

შპს „ტერნოფარმი“

უკრაინა, ქ.ტერნოპოლი, ფაბრიჩნაიას ქ. 4

ტელ/ფაქსი: (0352) 521-444, www.ternopharm.com.ua.

